ცნობის ფურცელი

№ 2191 ოთხშაბათი, 25 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2191

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვერის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

20 ამა ივნისს, სოფ. ლაჯანაში (ლეჩხუმის მაზრა) გარდაიცვალა

თავ. ლევან გოჯასპარის ძე გელოვანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა კნ. ღესპინე გრიგოლ შერვაშიძის ასული და შვილები: კონსტანტინე, პლატონ და ვარლამ გელოვანები და სთხოვენ მობრძანდნენ 25 ამა ივნისს განსვენებულის დაკრძალვაზე სოფ. ახალ-ქალის საგვარეულო სასაფლაოზე. (2—2)

ვლადიმერ ჯიბოს ძე და ილია ვლადიმერის ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 ივნისისათვის სოფელ სვერში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

ლიზა სოლომონ წერეთლის ასულის

სულის მოსახსენებლად. (1—6.—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის ვ. ს. მუსხელიშვილისა.

(გუდოვიჩის მოედნის კუთხე)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. მ. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 8—10.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ვ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მაჩხეიტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. ვ. ხლებოვსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ბ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (შარდ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუდმივი ექიმი ვ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

[illegible] ქუჩა, 33. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

—

ბალკანეთი. ბალკანეთის პირველ მინისტრს სარო პეტროვს ულაპარაკნია „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტთან მაკედონიის ეხლანდელ მდგომარეობაზე: „იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ეხლა ხელთა მაქვს, მაკედონიის ვილაიეტებისა და ადრიანოპოლის ოლქის მდგომარეობა საშინელ უკიდურესობამდეა მისული.

ჯერ ერთი, დიდი შიმშილობა იქმნება ამ მხარეზე. მეორე, სამხედრო და სამოქალაქო მთავრობა, იმის მომიზეზებით, რომ იარაღსა და რევოლიუციონერებს ეძებენ, ყველა მცხოვრებლების სახლებს სჩხრეკს. შეშინებული მშვიდობიანი სოფლელები გარბიან მთებში და უერთდებიან რევოლიუციონერებს ან და ბოლგარიაში მიდიან.

განსაკუთრებით უადგილო და უაზროა ხალხის დევნა ადრიანოპოლის ოლქში, სადაც აქამდე სრული მშვიდობიანობა იყო. იქიდან, მხოლოდ ერთი ადგილიდან, გადმოვიდა ბოლგარიაში, ბურგასის ოლქში, სამი ათასამდე მაკედონელი. ვფიქრობ, რომ ოსმალები განზრახ დევნიან მაკედონელებს; გადაწყვეტილი აქვთ მოსპონ ბოლგარული ელემენტი ბოლგარიის სამთავროს საზღვრებ ახლო. ასეთ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე გავლენა ვიქონიოთ მაკედონიაში და დავაწყნაროთ აღელვებული ხალხი. კიდევ მეტს ვიტყვი—ბოლგარიის მთავრობის მდგომარეობა ფრიად საშიში ხდება, რადგან დიდძალი ემიგრაცია მაკედონელებისა და თვით სამთავროს მცხოვრებნიც მეტად მღელვარებენ მაკედონიიდან მოსულ საშინელ ამბების გამო. ეს კიდევ ცოტაა: ოსმალებმა რადაც მიზნისათვის დიდ-ძალ ჯარს მოუყარეს თავი და ჩვენ საზღვარზე; არის არტილერიაცა და ცხენოსანი ჯარიც. მე შევეკითხე კონსტანტინოპოლში ასეთ გარემოების გამო ჩვენ დიპლომატიურ აგენტის საშუალებით, მაგრამ ის პასუხი მივიღეთ, რომ ჯერ არაფერი იციან და როცა გაიგებენ ყველაფერს, პასუხსაც მაშინ გამოჰგზავნიან...

ასეთი სერიოზული მდგომარეობა გვაფიქრებს და იძულებული ვხდებით მზად ვიყვნეთ ყოველ გვარ საშიშ შემთხვევისათვის".

სადღაა რეფორმები? რა მოუტანა ავსტრია-რუსეთის შეთანხმებამ მაკედონიისა და საზოგადოდ ბალკანეთის დამშვიდების საქმეს? სრულიად არაფერი. რაც დრო მიდის, საქმე უფრო და უფრო რთულდება და მწვავდება და არის ნიშნები, რომ ეს გართულება და გამწვავება უომრად, სისხლის დაუღვრელად არ გათავდება.

ინგლისი. „მთელი ინგლისი მეტად მღელვარე მდგომარეობაშია იმ მომავალ ბრძოლის გამო, რომელსაც პროტექციონისმი გამოიწვევს. პროტექციონისმის კითხვამ მორევსავით ჩაითრია ყოველგვარი ინტერესები, და არსად ეს მორევი ისე საგრძნობელი არ არის, როგორც პარლამენტში.

სამინისტრომ, რომლის უფრო გამოჩენილი წევრები პროტექციონისტები არიან, სპობს პურის ბაჟს, რომელიც დროებით იყო შემოღებული ფისკალურ მიზნით. ახალშენების მინისტრი თხოულობს, რომ იმპერიის ხსნისათვის აუცილებლად საჭიროა ხუთი შილინგი ბაჟი დაედოს ერთ კვარტერ პურს, ფინანსთა მინისტრი-კი ამტკიცებს, რომ უნდა მოვსპოთ არსებული ბაჟი ერთი შილინგი, რადგან იგი ავიწროებს ხალხის ბიუჯეტსაო.

„პროტექციონისმი ტორიების პარტიის დაღუპვა არისო, ამტკიცებს ჰუგო სესილი. სანამ პური იაფია, ლონდონი კონსერვატორებისა იქნება. მაგრამ შემოიღებთ თუ არა პურის ბაჟს, გაჩნდება უკმაყოფილებაც, რომელიც გამოიწვევს საშიშ რეაქციას ტორიების პარტიის წინააღმდეგ. საუკეთესო, ჰკუის მასწავლებელი გაკვეთილი გერმანიის საპარლამენტო არჩევნებია. სოციალ-დემოკრატების გამარჯვება უმთავრესად შედეგია უკანასკნელ სადამოენო პროექტისა".

„სრულებითაც არაო,—ამბობს ჩაპლინი. გერმანიის არჩევნები სრულებით არაფერს არ ამტკიცებს. გერმანელი რადიკალები ტიპიური ფრიტრედერები (თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი) არიან, მაგრამ არჩევნებზე მაინც დამარცხდნენ. ხალხს უყვარს პურის ბაჟი, როცა საქმე იმპერიის ხსნას ეხება"...

„თქვენ დაჰკარგავთ ყველა თქვენ მომხრეებს ლანკაშირში, უცხადებს ტორი—დემოკრატი ჩერჩილი, თუ გაბედავთ და ამ ხალხის საყვარელ ბაჟს შემოიღებთ".

ასეთი სხვა-და-სხვა შეხედულებაა სამინისტროს წევრებსა და სამინისტროს მომხრეებ შორის. პროტექციონისტები უმთავრესად დამყარებულნი არიან ჩემბერლენის ავტორიტეტზე. ახალშენების მინისტრი მჭევრმეტყველურად ამტკიცებს, რომ ბაჟის შემოღება განამტკიცებს იმპერიას და გააუმჯობესებს ხალხის მატერიალურ მდგომარეობასო. მაგრამ რომელ ჩემბერლენს უნდა დაუჯერონ, ეხლანდელს, თუ იმ ჩემბერლენს, რომელიც წინად თურმე სულ სხვას ლაპარაკობდა: „ნუთუ გამოჩნდება ისეთი რეფორმატორი, რომელიც გაბედავს სანოვაგეზე ბაჟი შემოიღოს. პრო-

ფელეტონი

—

ღარიბი სტუდენტი ამერიკაში

ღარიბი სტუდენტი ამერიკაშიაც ყოფილა; იქაც მოსწავლე ახალგაზდა, ხშირად, იძულებული ხდება სწავლასთან ერთად ეძებოს თავის შესანახი და გამოსაკვები საშუალება. და თუ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ამერიკელ ღარიბ სტუდენტს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გარდა ჩვეულებრივ, სტუდენტურ საშუალებისა (გაკვეთილების მიცემა) სხვა ღონისძიებასაც ხმარობს.

I*)

შაბათ საღამოობით, როცა უფრო გახურებული ვაჭრობაა ქ. ბოსტონის საყასბოებსა და სხვა დუქნებში, უთუოდ დაინახავთ ზედ-მეტ, ეგრედ წოდებულ დამატებით ნოქრებს, რომელნიც ძალიან მოსწონთ მყიდველებს სიმარჯვისა და მოსაზრებისათვის. ამ ნოქრებსაც ისევე აცვიათ, როგორც დანარჩენებს—უსერთუკოდ და გრძელ თეთრ წინსაფარით, მხოლოდ მათი ინტელიგენტური სახეა, რომ ასხვავებს სხვა ამხანაგებისაგან. ორშაბათობით კი იგივე ნოქრები იდლიაში წიგნ ამოჩრილები მიისწრაფიან ჰარვარდის უნივერსიტეტისაკენ, სადაც სტუდენტებად არიან. არა ამერიკელს ძალიან ეუცხოვება სტუდენტი-ნოქარი, მაგრამ ეს არ უკვირს ამერიკის ხალხს, სადაც მეტივეს რესპუბლიკის პრეზიდენტად გახდომა შეეძლო.

ამერიკელი სტუდენტი სხვა-და-სხვა საშუალებით შოულობს ცხოვრების სახსარს. პატარა ქალაქებში უფრო სჭირს ცხოვრება: იშვიათი მოვლენაა, რომ აქ გაჭირვებულმა სტუდენტმა შრომაში ფული აიღოს. დიდ ქალაქებში კი სამუშაოს შოვნა უფრო ადვილია და სამუშაოც სხვა-და-სხვა ნაირია.

ზოგი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და სტიპენდიას შოულობს, მაგრამ ასეთების რიცხვი ერთობ მცირეა. ცოტა სამუშაოს თვითონ უნივერსიტეტი აძლევს სტუდენტს—უნივერსიტეტის ეკკლესიაში სამსახური, აგრეთვე ბიბლიოთეკაშიაც, კონსპექტების გადაწერა, ლაბორატორიაში მუშაობა და სხვა. მაგრამ აქაც სულ მცირე რიცხვი შოულობს ადგილს და თან ისე მცირე ჯამაგირია, რომ საჭირო ხდება სხვა ღონისძიების მოძებნა.

როგორც ნათქვამი იყო, ამერიკელი სტუდენტიც რეპეტიტორობს. ეს ხელობა საპატიოდ ითვლება და შედარებით უფრო შემოსავლიანიც არის. იშვიათია, რომ რეპეტიტორმა საათში აიღოს ნახევარ დოლარზე (1 მანეთი) ნაკლები; საშუალო ფასი ორი მანეთია; დიდ უნივერსიტეტებში ოთხ მანეთამდეც ადის. გამოცდილი რეპეტიტორი ორი ათას მანეთამდე იღებს წელიწადში. სამწუხაროდ, როგორც სხვაგან, ამერიკაშიაც ბევრია რეპეტიტორი და სამუშაო კი ცოტა. ამიტომაც ამერიკელი სტუდენტი სხვა გზას ეძებს.

ამერიკის ყველა უნივერსიტეტებში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ სტუდენტი კისრულობდეს შუა-კაცობას ვაჭრებისა და სტუდენტებ შორის. მეკონდიტრე, ფოტოგრაფი, ქაღალდის ვაჭარი იჭერენ საქმეს სტუდენტობასთან ასეთ აგენტების საშუალებით. ამ გვარ აგენტურას გვარიანი შემოსავალი აქვს. ყველაზე უფრო შემოსავლიანად ითვლება მრეცხაობის აგენტურა.

ზოგი სტუდენტი ირჩენს თავს სტუდენტების ჟურნალის თანამშრომლობით. არიან ისეთი სტუდენტები, რომელნიც სასადილოებს ჰმართავენ თავიანთ ამხანაგებისათვის და ამით ირჩენენ თავს. გავრცელებულია აგრეთვე სხვის სასადილოებში მოსამსახურეობა. სხვის სუფრაზე სამსახური ძალიან გავრცელებულია ამერიკელ სტუდენტებ შორის და ადამიანის პიროვნების დამამცირებლად არ ითვლება.

ხშირად ჰნახავთ, რომ სტუდენტი რკინის გზის სადგურზე მეკარის თანამდებობას ასრულებდეს; არიან სტუდენტი კასირებიც; საეკკლესიო ხოროში მონაწილეობის მიღება, ექიმთან და ადვოკატთან მუშაობა, ნოქრობა და სხვა ამ გვარობა ხელობად გაუხდია ღარიბ ამერიკელ სტუდენტს, რომ უნივერსიტეტში სწავლის დროს თავი შეინახოს.

რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ სტუდენტებს სამუშავოს შოვნა, უნივერსიტეტებს გამართული აქვთ ბიუროები. პირველად ჰარვარდის უნივერსიტეტმა გამართა ასეთი ბიურო, სადაც სტუდენტები შოულობენ სხვა-და-სხვა ნაირ ადგილს საზაფხულო სასტუმროს მსახურობიდან დაწყებული მასწავლებლობამდე.

ზოგი სტუდენტი არ კმაყოფილდება ჩვეულებრივის შრომით და ახალ საშუალებას იგონებს. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსი-

---

*)В. Восп. 4.

ეროვნული

ტექციონისმის მომხრენი ურჩევენ მშრომელ ხალხს პურის ბაჟის მიღებას. შესაძლებელია, რომ მოტყვილებით მიაღებინოთ მუშას პურის ბაჟი; მაგრამ ამას მეტად სერიოზული შედეგი მოჰყვება. თვითცნობიერების ზრდასთან ერთად ისეთი ძლიერი რეაქცია გაიღვიძებდა, რომ მეშინია კიდეც მაზედ ვიფიქრო. პურის ბაჟს აუცილებლად თან მოჰყვება მუშის ქირის შემცირება; იგი გამოიწვევს აგრეთვე ბრიტანელ მუშის ძალთა შემცირებას. ფულის ღირებულება დაიწევს. გაძვირდება ყოველ გვარი საქონელი და ეს კი მეტად საზარალო იქნება ექსპორტისათვის“.

ბრძოლა პროტექციონისტებსა და თავისუფალ ვაჭრობის მომხრეთა შორის ეხლა იწყება. ორივე პარტია ეხლა დაეწყო საომრად. ვრცელდება დიდ ძალი პამფლეტები, კარიკატურისტებმა კალამი მომართეს.

პროტექციონისტები ფაქტებით ვერას გახდებიან, რადგან ეს ფაქტები მათ წინააღმდეგ ღაღადებს; სამაგიროდ ბაჟის მომხრეთ დიდი იმედი აქვთ სანტიმენტალურ და პატრიოტულ საბუთებისა“.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ფხიზელი ინგლისელი მოტყვილდეს ასეთის საბუთებით.

ებრაელები ამერიკაში. ეხლა ხან ამერიკის პრეზიდენტს რუზველტს ულაპარაკნია ებრაელების შესახებ.

„ამერიკა ერთად-ერთი ქვეყანაა დიდ სახელმწიფოებს შორის, რომელიც სამართლიანად ეპყრობა ებრაელ ჩამომავლობის მოქალაქეთ... ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა ლონგფელომ საუკეთესო ლექსი უძღვნა ებრაელების სასაფლაოს ნიუ-იორკში. ვინც დადის ჩვენ ძველ ქალაქების სასაფლაოებზე, მადლობით წაიკითხავს ბევრ ამერიკელ ებრაელის სახელს, რომელთაც მშვიდობიანობისა და ომის დროსაც დიდი სამსახური გაუწევიათ ჩვენი ერის დაფუძნებისათვის. როცა მე თვითონ ჯარში ვიყავ და ვიბრძოდი, ჩემი ამხანაგი იყო ურია, უპატიოსნესი და უმამაცესი აფიცერი. როცა ამერიკის ფლოტმა ალყა შემოარტყა კუბას, გემების უფროსებ შორის ერთმა დიდი სახელი გაითქვა—იგი ებრაელი იყო. ჩემ საკუთარ პოლკში ერთხელ ხუთს მივეცი აფიცრობა ბრძოლის ველზე დიდის ვაჟკაცობის გამოჩენისათვის. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი ამ ხუთთაგანი ებრაელი იყო.

ჩვენში, ამერიკაში, მხოლოდ ერთს ვითხოვთ მოქალაქისაგან—იყოს კარგი ამერიკელი; რა სარწმუნოებისაა ან სად დაიბადა, ეს ჩვენთვის სულ ერთია.

მომეცით ნება მოვიყვანო ერთი მაგალითი ეროვნულ და სარწმუნოებრივ განხეთქილების საილიუსტრაციოდ. როცა ნიუ-იორკში პოლიციის კომისრად ვიყავ, ევროპიდან ჩამოვიდა ერთი სასულიერო პირი, რომ აგიტაცია დაეწყო ებრაელების წინააღმდეგ და ამისათვის მიტინგები გაემართა. ეს მე შემატყობინეს, მაგრამ რა გზით უნდა შემეშალა ხელი?

კარგა მოფიქრების შემდეგ, დავუნიშნე აგიტატორს მცველებად სულ ებრაელი პოლიციელები. მე ვიფიქრე, რომ ეს საუკეთესო პასუხი იქმნება აგიტატორის სიტყვებისა და ამასთანავე იმის მაჩვენებელიც, თუ როგორ უცქერის ამერიკა ამ გვარ საქმეს.

ერთხელ ახალგაზრდა ქრისტიანებ შორის ვიყავ და იქ მითხრეს ამბავი ერთ ახალგაზრდა ებრაელისა, რომელიც თავგანწირულად შველოდა ხალხს ცეცხლის გაჩენის დროს. მე დავუძახე ახალგაზრდას და ვურჩიე ეგზამენი დაეჭირა ცეცხლის მქრობელ რაზმში ჩასაწერად. იმანაც დამიჯერა, დაიჭირა ეგზამენი და სამსახურშიაც შევიდა. თავის ჯამაგირით იგი ცოტ-ცოტას ასწავლიდა თავის პატარა და-ძმებს და ბოლოს დედ-მამაც გამოიწერა რუსეთიდან“.

ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ამა წლის პირველ ივლისიდან ახალ წესებს შემოიღებენ **უქმე დღეობით მუშაობის შესახებ** საფოსტო და საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებებში. მუშაობა სრულებით არ იქნება აღდგომისა და შობის პირველ დღეებში. ორი საათი უნდა იყოს მუშაობა: ახალ წელიწადს, ხარებას, ვნების კვირის პარასკევსა და შაბათს, ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლების სახელწოდების დღეებში. ოთხის საათის მუშაობა ფოსტამტებში და სამის საათისა სხვა-და-სხვა დაწესებულებებში: კვირაობით, ნათლიღებას, მირქმას, ფერისცვალებას, ღვთის მშობლის მიძინების დღეს, ღვთისმშობლის დაბადების დღეს, ჯვართ-ამაღლებას, პირველ ოქტომბერს (საფარველი ღვთის მშობლისა), ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანის დღეს, ამაღლებას, სულ-მოფენობას და შობის მეორე დღეს.

◆ **დიდი წვიმები და ნიაღვრები** 21-22 ივნისს მარტო ტფილისში არ ყოფილა. როგორც ქართლიდანა და კახეთიდან გვატყობინებენ, ნიაღვრები თითქმის ყველგანა ყოფილა. რკინის გზაზედაც ბათუმისკენ ძალიან წვიმები იყო. ბევრგან ისეთი დიდი წყალი მოვარდნილა, რომ ლიანდაგი დაუფარავს და მატარებლები შეუჩერებია. გზა ბევრგან შეიკრა.

◆ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, **მთავარ-მართებელი** პეტერბურგიდან 1 ივლისს წამოვა.

◆ სამრევლო-საეკლესიო სკოლების **მასწავლებელთა საზაფხულო კურსები** დამთავრდება 20 ივლისს. ამ ჟამად მასწავლებელნი ყოველ დღე მეცადინეობენ. დილით მასწავლებელნი აძლევენ სამაგალითო გაკვეთილებს, რომელსაც სადილობამდისვე არჩევენ. საღამ-საღამოობით ბ-ნი ფერაძე უკითხავს დიდაქტიკის და პედაგოგიის ლექციებს. სწავლება სამშობლო ენის შემწეობით სწარმოებს. ქართული ენის პროგრამაც შეუცვლელად არის დატოვებული. საღამოობითვე ავარჯიშებენ მასწავლებელთ ქართულ-რუსულ გალობაში. ქართულ გალობას ასწავლიან ჩახნაშვილი და მღ. ფ. კარბელაშვილი. უკანასკნელს ქართულ გალობის სახელმძღვანელო შეუდგენია სამრევლო სკოლებში სახმარებლად. ეს სახელმძღვანელო „კარბელაანთ კილოზეა“ გადაღებული და ერთ ხმაზეა დაწერილი. ოლქის მეთვალყურესა და საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეს აღუთქვამთ, ამ სახელმძღვანელოს დავასტამბინებთ და სკოლებში სახმარებლად შევიტანთ მომავალ სამოსწავლო წლიდანაო.

◆ „ქ. შ. წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების“ ხარჯით მშვენიერს ქაღალდზე სურათებით იბეჭდება და მალე გამოვა შოთა რუსთველის **„ვეფხის ტყაოსანი“**.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება ხმოსნის თამამშევისა და განმარტება ქალაქის მდივნის სტ. ჭრელაშვილისა **საბჭოს კანცელარიის მოსამსახურეთა რიცხვის გამრავლების** შესახებ. დღევანდლამდე სხვა და სხვა კომისიებში მდივნის თანამდებობას ასრულებენ გამგეობის მოხელენი, რადგან საბჭოს საქმის მწარმოებელს დრო არა აქვს ამ საქმისთვის. გამგეობამ დაადგინა, ჯერ-ჯერობით საცდელად დაიწესოს საბჭოს საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობა. თუ ცდამ ნაყოფი გამოიღო და საქმის მწარმოებელმა დავალება რიგიანად შეასრულა, გამგეობა მომავალ სექტემბერში შუამდგომლობას აღძრავს, რომ მუდმივად იქმნეს დაწესებული ეს ახალი თანამდებობა.

◆ ამას წინად ხმოსანმა ყარა-მურზამ მოხსენება წარუდგინა ტფილისის საბჭოს. ხმოსანი თხოულობდა **დიდუბელთათვის** სამკურნალო გაემართათ. გუშინ გამგეობას მოხსენება წარუდგინა ხმოსანმა ნ. ნ. თამამშევმა, რომელიც აცხადებს, რომ მეტი იქნება დიდუბელთათვის სამკურნალოს გამართვა, რადგან ამ კუთხის მცხოვრებნი უმთავრესად რკინის გზის მოსამსახურენი არიან, ამათთვის კი რკინის გზაზე სამკურნალო არის. თამამშევის აზრით, სამკურნალო უნდა დაარსდეს პოლიციის 1, 2 და მე-3 ნაწილის მცხოვრებთათვის, რადგან აქ ორი ექიმი მუშაობს და ისინი ვერ ასდიან საქმეს.

◆ 23 ივნის ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა**. გასასყიდად დანიშნული იყო სხვა ქალაქის 26 მამული. აქედან 5 მამულის ვაჭრობა არ მოხდა და გადაიდვა, რადგან განცხადება შეცდომით იყო გაზეთში დაბეჭდილი. 21 მამულიდან გაიყიდა 17, ხოლო 4 მამულზე დამატებით ვაჭრობა დაინიშნა 12 ივლისისთვის. 17 მამულიდან 8 მამული გაიყიდა სომხისა, 3 მამული ქართველისა, 3 რუსისა, 1 ოსმალელისა და 1 გერმანელისა. გაყიდულ მამულებზე ბანკისა იყო 207,173 მ. 93 კ. გაიყიდა 233,200 მან.

◆ გუშინ, 24 ივნისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს და წინამძღოლის კანცელარია თავად-აზნაურთა ქარვასლიდან **დროებით გადავიდა** სოლოლაკის ქუჩაზე თავ. მელიქიშვილის სახლში.

◆ დღეს, 25 ივნისს, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დაბადების დღეს, **რკინის გზის** გამგეობის ყველა განყოფილებებსა და სახელმწიფო კონტროლში მუშაობა არ არის. უქმობენ რკინის გზის დაარსების დღეს.

◆ 21 ივნისს **ცხინვალში დიდი სეტყვა** მოსულა. როგორც ქვემოდ კორესპონდენციიდანა სჩანს, სეტყვას სულ ერთიან გაუფუჭებია ნათესობა, ვენახები და ბაღები.

◆ **ტფილისის კასსას მაისში შემოსულა** დასაფასებელი გადასახადის—29,756 მან. 37 კაპ, სამრეწველო მოწმობების გადასახადის—5590 მან. სატრაქტირო—3264 მან. 94 კაპ. ქალაქის მიწების—4248 მან. 95 კაპ., ქალაქის წყლის მიღების—19,159 მან. 84 კაპ. და სხვა. სულ 81,616 მან. 47 კაპ.

◆ კავკასიის მესამე სამთო ოლქის ინჟინერმა გუშინ, 24 ივნისს, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, კრებების გასამართავად დაუთმოს 1 ივლისიდან 10-მდე საბჭოს დარბაზი.

◆ უფროსი კონტროლერი ამიერ-კავკასიის რკინის გზისა ვლადიმიროვი თავის ნებით დათხოვნილია რუსეთის იმპერიაში.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ შაბათს, 21 ივნისს, ქუთაისის თავად-აზნაურობამ და საზოგადოდ პატივის მცემლებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფს თავ. ს. გ. წერეთელს, რომელიც ამ მოკლე ხანში სტოვებს ქუთაისსა და მიდის საცხოვრებლად ჯერ თავისს სოფელ საჩხერეს და შემდეგ ტფილისს. სადილი გამართეს სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში.

◆ ქუთაისში ხშირი წვიმებია. რიონი ძლიერ ადიდდა და ძირიან-ფესვიანად მოაქვს ხეები. კვირას, 22 ივნისს, ადიდებულმა წყალმა იმსხვერპლა ერთი ცხენებიანი ეტლი. მეეტლეს წყლის დასალევად ჩაეყვანა ეტლში შებმული ცხენები. ადიდებულ წყალს მოუტაცებია ეტლი. მეეტლე თუმცა ბევრს ეცადა, მაგრამ რას გახდებოდა წყალთან ბრძოლაში. თავის თავსაც ძლივს უშველა ეტლიდან გადახტომით. ეტლი და ცხენები კი წყალმა შთანთქა.

◆ კვირას, 22 ივნისს, ქუთათურ სცენის მოყვარეთა მიერ ადგილობრივ მსახიობთა დახმარებით, ერთის ღარიბ მსახიობის დ. კ. ჩ. ოჯახის სასარგებლოდ წარმოადგინეს „სიყვარული და ცრუმორწმუნოება“ და „სხვა რიგი სიყვარული“. წარმოდგენამ, რომელსაც საზოგადოება ცოტა დაესწრო, უფერულად ჩაიარა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მთავრობამ გადასწყვიტა ააგოს უზარმაზარი ჯავშნიანი გემი. ეს გემი უდიდესი სამხედრო გემი იქმნება მთელ დედამიწაზე.

◆ მკითხველებმა კარგად იციან, რომ ყირიმიდან დიდ-ძალი თათრობა მიდის ოსმა-

---

ტეტის ერთმა სტუდენტმა გამოიგონა მეტად თავისებური რეპეტიტორობა: თავის მეგობრების დახმარებით მან შეადგინა ბავშვების კლუბი, სადაც 15—20 პატარები იყო ბოსტონელ მდიდარ ოჯახებიდან: სტუდენტი კვირაში სამჯერ მიიწვევდა თავის კლუბის წევრებს, ანახვებდა ბოსტონის მიდამოების საინტერესო ადგილებს, გამართავდა სხვა-და-სხვა თამაშობას; თუ ამინდი ხელს შეუშლიდა, პატარა კლუბისტებს სახლში ატარებინებდა მხიარულად დროს. ბავშვებს ისე მოეწონათ ასეთი დროს ტარება, რომ ყოველ გართობაზე უარს ამბობდნენ, ოღონდ თავის „კლუბის“ კრება არ გამოეშვათ. ეხლა ბევრია ასეთი კლუბი ბოსტონში და ხშირად შეხვდები სტუდენტს, რომელსაც ოცამდე პატარა ბავშვი მისდევს.

არიან ისეთი სტუდენტები, რომელთაც სახლიდან ჩამოდით სხვა-და სხვა სანოვაგე: ასეთი სტუდენტი მიღებულ სანოვაგეს ჰყიდის თავის ამხანაგებზე, რასაკვირველია, ბაზარში არსებულ ფასზე ნაკლებად. ბევრი სხვა საშუალებაა კიდევ, მაგრამ ძნელია მათი ჩამოთვლა: ხერხიანი ამერიკელი სტუდენტი ათას გზას გამონახავს, რომ თავიც შეინახოს და მიზანსაც მიაღწიოს—გაათავოს უნივერსიტეტი.

ხარჯი ამერიკელ სტუდენტისა ქალაქის მიხედვით სულ სხვა-და სხვაა: დასავლეთ მხარეს ცხოვრება შედარებით იაფია, აღმოსავლეთით-კი ერთობ ძვირი: ლილენდ-სტენფორდში ოთახი და სასმელ-საჭმელი ღირს წლიურად 90 დოლარი (180 მ.); კორნელის უნივერსიტეტში კი, სულ ცოტა, 270 დოლარი ღირს, ჩვეულებრივი ფასი 400 დოლარია.

იელის უნივერსიტეტი უფრო მდიდრებისაა, მაგრამ აქაც ახერხებენ სწავლას ღარიბები: 1900 წელს აქ კურსი დაამთავრა 327 კაცმა, აქედან 84 თავის შრომით ირჩენდა თავს.

იელზე უფრო ჰარვარდის უნივერსიტეტია მდიდრებისათვის, რადგან აქ ერთობ ძვირია ცხოვრება, მაგრამ აქაც ახერხებენ ცხოვრებას ღარიბი სტუდენტები: მინიმუმი წლიურ ხარჯი ექვსასი დოლარია (1200 მ.), მაგრამ ამ ფულით სტუდენტი თითქმის ნახევრად მშიერია; გარდა ამისა იგი იძულებული ხდება დაიკლოს თითქმის ყველაფერი, რითაც-კი სასიამოვნოა სტუდენტური ცხოვრება; მაგალითად, ღარიბი სტუდენტი ვერ იღებს მონაწილეობას სტუდენტების საზოგადოებებში. თეორიით, რასაკვირველია, ღარიბსაც აქვს უფლება მონაწილეობისა, ნამდვილად კი საზოგადოებაში არსებული სოციალური განცალკევება უნივერსიტეტშიაც რჩება. იშვიათი მოვლენაა, რომ ღარიბი სტუდენტი აირჩიონ საზოგადოების წევრად და კიდეც რომ აირჩიონ, უარი უნდა სთქვას, რადგან საზოგადოების წევრობა მეტ წილად ერთობ ძვირად ჯდება.

თუ აღმოსავლეთ მხრის უნივერსიტეტებში ეგრე ძვირია ცხოვრება და ღარიბი სტუდენტი, რომელიც თავის შრომით ცხოვრობს, თითქმის ვერ იღებს მონაწილეობას სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დასავლეთ მხრის უნივერსიტეტებში სხვა სურათს ვხედავთ. აქეთ თითქმის ნახევარი სტუდენტობა თავის შრომით სცხოვრობს, დიდ მონაწილეობასაც იღებს სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დიდი გავლენაც აქვს. უნივერსიტეტის მთავრობაც აქეთ დიდის ყურადღებით ექცევა თავის სტუდენტებს. მაგალითად, არ თხოულობს სტუდენტისაგან, რომ უთუოდ ოთხის წლის განმავლობაში გაათავოს კურსი, შეუძლია ხუთი და ექვსი წელიწადიც დარჩეს.

რასაკვირველია, ძნელია ორის ღმერთის ერთად სამსახური, ძნელია, რომ სტუდენტი თანაბრის ენერგიით შრომობდეს თავის გამოსაკვებადაც და სწავლის მისაღებადაც; სწავლის საქმე უთუოდ ზარალშია, მაგრამ სანამ საზოგადოება თავის მოვალეობად არ სთვლის ხელი გაუმართოს ყოველ ახალგაზრდას, რომელიც უმაღლეს განათლებისაკენ მიისწრაფვის, ღარიბი ახალგაზდა იძულებულია ასეთის ჰაპაწყვეტით იცხოვროს. ნიჭიერი და სადი ღარიბი სტუდენტი გამარჯვებული გამოდის ასეთ მდგომარეობიდან: უნივერსიტეტიდან ისევე მომზადებული გამოდის, როგორც მისი მდიდარი ამხანაგი.

II

ამერიკაში ბევრი ახალგაზდა ქალი სწავლობს უნივერსიტეტებში. მათ შორისაც ბევრია ღარიბი, რომელიც იძულებული ხდება საკუთარის შრომით ირჩინოს თავი, მაგრამ ქალი კიდევ უფრო გაჭირვებულია, რადგან მას ხელი არ მიუწვდება ყველა იმ საშუალებამდე, რომელსაც სტუდენტი თამამად ჰკიდებს ხელს. მაგალითად, ქალს არ შეუძლიან, ბოსტანში იმუშაოს, ბუხრის მილი სწმინდოს ან ქუჩაზე თოვლი შეზვინოს ქალაქიდან გასატანად, ამებს სტუდენტი ვაჟი ჰკიდებს ხელს. ნოქრობაცა და შუაკაცობაც მიუწდომელია ქალისათვის, რადგან საზოგადოება მეტად ცუდის თვალით უცქერის სტუდენტ ქალის ასეთ ქცევას.

ამიტომაც ახალგაზდა ქალი იძულებული ხდება ნაკლებ შემოსავლიან საქმეს მოჰკიდოს ხელი, და რომ მან იმდენივე ფული იშოვოს, რასაც ვაჟი სტუდენტი შოულობს, ორჯელ მეტი დრო და ძალა უნდა დახარჯოს.

ივერიელი

ლეთში დასასახლებლად. როგორც აღმოჩნდა, უმთავრესი მიზეზი გადასახლებისა მიწა-ადგილის უქონლობა ყოფილა და არა ოსმალეთის სიყვარული, როგორც ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ ხოლმე. ეხლა ყირიმის საგუბერნიო ერობა შუამდგომლობს, უადგილ-მამულო თათრებს დაურიგდეთ სახაზინო მიწები.

◆ „პეტერ. ვედ.“ ორლოვის გუბერნიის ქალაქ მცენსკიდან სწერენ: „მშვიდი და მყუდრო ცხოვრება ჩვენის ქალაქისა არა ჩვეულებრივმა მოვლენამ დაარღვია. 7 ივნისს ჩვენს სატუსაღოში არეულობანი მოხდა. მიზეზად ტუსაღები ასახელებენ ცუდ საჭმელს და იმას, რომ სატუსაღოს უფროსი ბ-ნი სომოვი ცუდად ექცეოდა პატიმართ. ამბავი არეულობის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. სატუსაღოსთან დიდძალი ხალხი შეიკრიბა. არეულობამ დილის 7-დან ნაშუადღევის 3 საათამდე გასტანა. ტუსაღებმა ერთმანეთი გაანთავისუფლეს ოთახებიდან, გაიდევნეს დარაჯნი და მიანგრ-მოანგრიეს მოწყობილება. ადგილობრივ მოხელეებსა და ჯარს (ამ ქალაქში მცირე ჯარია) ორელიდან მიაშველეს 25 პოლიციელი. ორი ტუსაღი დაიჭრა. მეთაურნი, 7 კაცი, დაიჭირეს და ორელში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს. ამავე სატუსაღოში არეულობანი მარტშიაც მოხდა“.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს ატყობინებენ კიევიდან: „1901 წელს განსვენებულ მინისტრის ბოგოლეპოვის აზრით, განიზრახეს კიევში სტუდენტთათვის საზოგადო საცხოვრებლის აგება. ჰფიქრობდნენ საცდელად ჯერ ორი სახლი აეგოთ, სადაც 300 კაცი უნდა მოეთავსებინათ. ამისთვის სამინისტრომ გადასდო 450,000 მანეთი. მიწის სასყიდლადაც 60,000; ამ რიგად კარგა მოზრდილი თანხა შესდგა. ეხლა სამინისტრომ გადაიფიქრა საზოგადო საცხოვრებლების აგება. სხვა უნივერსიტეტებთან გამართულმა საცხოვრებლებმა ის ნაყოფი ვერ მოიტანეს, რასაც სამინისტრო მოელოდა. ამის გამო კიევის უნივერსიტეტი ზემოხსენებულ 510 ათას მანეთს სხვა საჭიროებათათვის თხოულობს“.

◆ ზოგიერთ ექიმ ქალებს შუამდგომლობა აღუძრავთ, ნება მიეცეთ ექიმ-ქალის ნაცვლად იწოდებოდნენ პირდაპირ „ექიმებად“ ან „დოქტორებად“.

პრესსა

ეხლა-ხან დაიბეჭდა ექიმ სეგალის წიგნაკი „მუშათა სადგომები ქ. ბათუმში“. ბ-ნი სეგალი შარშან ბათუმს გაჰგზავნეს შავ-ჭირთან საბრძოლველად. ექიმს უსარგებლნია ამით და დაუთვალიერებია მუშათა საცხოვრებლები. ბათუმში ყოფილა: ქარხნის მუშა 2,200, დამტვირთველ გადამტვირთველი და, საზოგადოდ, ნავთ-სადგურში მომუშავე— 1000-ზე მეტი, 300 კაციც მეღროვეა თურმე.

ეს მუშები, ყველანი, მაღლა, სხვენში ცხოვრობენ ან კიდევ შეუყიან, უსინათლო და ნოტიო სარდაფებში. ასეთ სარდაფში, რომელსაც მდგმურნი ზამთარში საკუთარის სითბოთი აცურებენ, ხშირად 9 და 10 კაცი სცხოვრობს, თუმცა სამი-ოთხი კაცის მოსათავსებელი ადგილი ძლივს არის. წვანან ყველანი პირ-და-პირ იატაკზე. ჩვეულებრივი ტიპი მუშათა სადგომისა ჰაი-არად აგებული ფარდულია· ასეთი ფარდული დაყოფილ-დანაწილებულია და ამ ნაწილებში სდგანან მუშები.

ბ-ნ სეგალს მუშის 146 სადგომი დაუთვალიერებია და ბევრგან უნახავს, რომ იატაკი და კედლები დამპალი ყოფილა. ბევრგან ძირი, იატაკი მიწისაა. ზოგგან სადგომები ისეა მოწყობილი, რომ სულ მცირე წვიმის შემდეგ ქუჩის წყლით ივსება.

* *

მკითხველებს ეხსომებათ უმაღლესი ბრძანება „სათავად-აზნაურო კადეტთა სკოლების“ დაარსების შესახებ. თვითეულ სკოლას ხაზინიდან პირველ ხანს მიეცემა 150,000 მანეთი. შემდეგში ხაზინა იკისრებს ყოველწლიურ ხარჯის ნახევარს ან სამ-მეოთხედს. დანარჩენი ხარჯი თავად-აზნაურთა საზოგადოებამ უნდა გაიღოს. როგორც ჰხედავთ, ხაზინიდან თავად-აზნაურთა კერძო, წოდებრივ საქმეს დიდ-ძალი ფული ეძლევა. ამ სკოლების შესახებ „ნოვოე ვრემია“ სწერს:

კურსი ამ სკოლებში ხუთის წლისა იქნება. კარგად კურსდამთავრებულთ უეგზამენოთ მიიღებენ იუნკრის სასწავლებელში ან კადეტთა კორპუსის მეექვსე კლასში. ახალის სასწავლებლების დაარსება შედეგია მთავრობის სურვილისა. მთავრობას უნდა დაეხმაროს უპირველესს წოდებას და შეძლება მისცეს იმის შვილებს, თავად-აზნაურთა ტრადიციების დაკვალად მიიღონ აღზრდა და განათლება. იმ ზომებში, რომელთაც აზრად თავად-აზნაურობის გაძლიერება აქვთ, რაღა თქმა უნდა, ყველაზე უფრო თანაგრძნობის ღირსი სწავლა-აღზრდის საქმეა. ძალიან სასახელოა მიწის მუშაობა, მიწათ-მოქმედება, პატივისცემის ღირსია მხვნელ-მთესველის შრომა, მაგრამ მაინც ჩვენს სამშობლოსა და კულტურისათვის სანუგეშო არაფერი იქნება, თუ უწინდელ მემამულეთა შთამომავალნი უბრალო მუშებად იქცევიან. ჯერ ეხლაც მოიპოვება მთელი სოფლები, სადაც ძველად გამოჩენილ თავადის შთამომავალნი სცხოვრობენ საწყლად და ღარიბად. ეს კიდევ არაფერი. ხშირად თავად-აზნაურთა შვილები უარარაოდ ჰრჩებიან: არც განათლება აქვთ, არც ადგილ-მამული, არც ხელობა იციან რამე. აშკარაა ასეთნი პროლეტარებად და „ბოსიაკებად“ გადაიქცევიან.

„ნოვ. ვრ.“ ს აზრით, თავად აზნაურობას პირველობა არ უნდა დაეკარგოს. ახალმა სასწავლებლებმა, ცოტა არ იყოს, ხელი უნდა შეუწყოს თავად-აზნაურთა გამაგრებას და წინანდელ პირველობას...

ტფილისის ქალაქის საბჭო

23 ივნისის სხდომა

თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს ხმოსნის ი. ა. თაიროვის გარდაცვალება. საბჭომ ფეხზე წამოდგომით პატივი-სცა განსვენებულის სახელს და დაავალა გამგეობას, საბჭოს მხრით მწუხარება გამოუცხადოს მიცვალებულის ოჯახს. ამას შემდეგ მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგნენ.

ამას წინად საბჭომ დაადგინა, რომ ტფილისმაც გაგზავნოს წარმომადგენელი ქალაქ დრეზდენს, სადაც წელს გამოფენა გაიმართება ქალაქების საუკეთესო მოწყობილების გასაცნობად. ამის შესახებ გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ კარგი იქმნება ქალაქის ტეხნიკოსი ინჟენერი კოგნოვიცკი გაიგზავნოს ამ გამოფენაზე და ამისთვის 40 თუმანი გადასდოს ქალაქმაო. ხმ. ვართანოვმა სთქვა, შეუძლებელი 40 თუმნის მიცემა. კერძო კრება მოვახდინოთ და იქ მოვილაპარაკოთ ამის შესახებაო. ალთუნდიანოვმა 40 თუმნის ნაცვლად ასი თუმანი მოითხოვა, მაშინ ხმოსანი ინჟენერი ა. ი. ფლოროვსკი იკისრებს წასვლასაო. ი. ფ. ტიგრანოვმა განაცხადა, კარგი იქნებოდა მთელი საბჭო წასულიყო, მაგრამ შეძლება სად არისო. ხმოსნის აზრით, უნდა გაიგზავნოს გამგეობის წევრი ტ. ა. ენფიანჯიანცი. ამას გარდა ხმოსან-ტეხნიკოსებს ვსთხოვოთ, თავიანთის ხარჯით წავიდნენ და, თუ ფული კიდევ დასჭირდებათ, დანაკლისი შევუვსოთ, რომ ქალაქისათვის სასარგებლო სურვილების ასრულებას ხელი მოვუმართოთო. ა. ს. ბაბოვმა სთხოვა საბჭოს, ამ საქმეს დღეს ნუ გადასწყვეტსო: ჯერ გამგეობამ, საფინანსო კომისიამ და ხმოსან-ტეხნიკოსებმა გაარჩიონ, გამოფენაზე წასვლელი კაცებიც აირჩიონ და ფულის რაოდენობაც განსაზღვრონ. თავმჯდომარე შეეკითხა საბჭოს: ვისაც ჰსურს ეს საგანი ჯერ კერძო კრებაზე განიხილონ ხმოსნებმა, ვსთხოვ, ფეხზე წამოდგესო. 46 ხმოსანთაგან მხოლოდ 18 წამოდგა. რადგან აქეთ-იქიდან სხვა-და-სხვა წინადადებანი მოისმოდა, ხმები არეულად გამოისმოდა, ცოტა არ იყოს, წესიერება დაირღვა, თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა ცოტა ხნით. შეიკრიბნენ თუ არა, თავმჯდომარემ გამგეობის წინადადება წამოაყენა. ლუდაძემ ა. ს. გამოაცხადა: რადგან ზოგიერთებმა მოისურვეს ჯერ ხმოსანთა კერძო კრება მოვახდინოთო, მეც იმ 18 კაცში გახლდით, რომელთაც ეს მოისურვეს; ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა მეორე რჩევა მოგვცა: ჯერ გამგეობის, საფინანსო კომისიისა და ხმოსან-ტეხნიკოსთა საბჭოს მივანდოთ ამ საქმის დაწვრილებით გამორკვევაო. მე არ მესმის ეს წინადადება: ქალაქების საუკეთესოდ მოწყობა იმდენად რთული საქმეა, რომ თუ გარკვევით და დეტალებით არ გავითვალისწინეთ ჩვენი საჭიროებანი და ესენი აღნუსხული არ ჩავაბარეთ ჩვენ მიერ გაგზავნილ კაცებს, მე არა მგონია ამ მოგზაურობამ სავსებით სასურველი ნაყოფი მოგვიტანოს. სწორედ ამ მხრით მომწონია საჭიროდ ხმ. ბაბოვის წინადადება მივიღოთ, რომ შეერთებულმა სხდომამ დაწვრილებით შეიმუშაოს, რა უნდა დავავალოთ ჩვენ მიერ გაგზავნილ კაცებს.

რამდენიმეთაც კიდევ მოითხოვეს, მაგრამ თავმჯდომარემ მაინც გამგეობის წინადადებას აუკრიბა ხმები და ცოტა უმრავლესობით საბჭომ მიიღო იგი და დაადგინა: ვსთხოვოთ ა. ი. ფლოროვსკის იკისროს დრეზდენს წასვლა და მისათვის 60 თუმანი მიეცესო.

მკითხველებმა იციან, რომ ძმათა ენიკოლოფოვებს ქალაქის აფთიაქი აქვთ იჯარით აღებული 1899 წლის 29 აპრილიდან ექვსის წლით, წელიწადში 491 თუმნად. პირველი ორი წელიწადი მოიჯარადრეთ კარგად შეასრულეს მოვალეობა, მაგრამ შემდეგში ქალაქს აღარას აძლევდნენ იმ მიზეზით, ვითომ ქალაქმა სავსებით არ მოგვცა ის [illegible], რომელიც აფთიაქისათვის მეტად აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ენიკოლოფოვებმა სარჩელი შეიტანეს ქალაქზე: რადგან ქალაქმა საჭირო მოწყობილება არ მოგვცა, ზარალი გვნახეთო. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ქალაქს ენიკოლოფოვებისათვის ზარალის აღდგენა, მაგრამ საქმე პალატაში გადატანილი და ჯერაც იქ არის გაურჩეველი. ქალაქმა თავის მხრით სარჩელი გაუმართა მოიჯარადრეთ, იჯარის ფული რამდენი ხანია არ გვაძლევენო. სასამართლომ ამ თვის 19 რიცხვს აკუთვნა ქალაქს საიჯარო ფული 11 ათას მანეთამდე; ქალაქსა და მოიჯარადრეთა შორის ხელ-შეკრულობის ძალაც მოსპო და დაიტოვა მისცა ქალაქს. ამგვარად დღეს ენიკოლოფოვებზე ნაანგარიშევია სულ ვალი და სარგებელი ხარჯებით 13 ათას მანეთზე მეტი.

ამ ბოლო-წინ ენიკოლოფოვებს ქაღალდი მიუციათ გამგეობისათვის: რადგან სასამართლომ ხელშეკრულობის ძალა მოსპო და აფთიაქი ეხლაო თქვენია, ინებეთ აფთიაქის სამის დღის განმავლობაში გადაგება, რადგან სახლი ჩემ სახელზეა დაწერილი და აფთიაქის წარმოება-კი მეტი აღარა გვსურსო. ეს არის მოკლედ საქმის ვითარება.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, ჩვენ გვინდა აფთიაქი იმ ვადით, რამდენიც დარჩენია ენიკოლოფოვებს, უვაჭროთ გადავცეთ ვისმეს წლიურად ოთხასის თუმნის ანგარიშზე. მცირე კამათის შემდეგ ხმის აკრებით აღმოჩნდა, რომ სწორედ ნახევარი რიცხვი ხმოსანთა თხოულობდა, აფთიაქი იჯარით გაიცესო, და ნახევარიც—ქალაქმა აწარმოვოსო. თავმჯდომარემ დასძინა თავისის ხმით პირველთა მხარე და აფთიაქი უვაჭროთ გაიცემა იჯარით იმ ვადზე, რომელსაც გამგეობა აირჩევს, მხოლოდ იმ ვადამდე, რომელიც ენიკოლოფოვებს დარჩენიათ კიდევ; ე. ი. ორის წლით, მერე-კი გამგეობამ ხელ-ახლად უნდა მოახსენოს საბჭოს ეს საქმე.

დასასრულ, საბჭომ აარჩია ხარცის დუქნების გამგე კომისია იმ წესით, რომელიც წარსულ კრებაზე იყო შემუშავებული. წევრებად აარჩია: ა. ბ. გვანგულოვი (39—4), ექიმი ს. ი. გაწაძე (37—6) და დ. ფ. ტიგრანოვი (45—8); კანდიდატებად: ექიმი მ. ნ. გესელოვზოროვი (36—7) და ს. ზ. მირზოევი (26—17), მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა: ხმოსნებმა იმდენი შავი კენჭი მომცეს, რომ ამით უნდობლობას მიცხადებენ და ამნაირად არა მსურს ამ საქმეს ვემსახუროო.

შემდეგი სხდომა საბჭოსი დღეისათვისაა დანიშნული.

თეატრი

ავლაბარი. 23 ივნისს მურაშკოს სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს მელოდრამა „ორი ობოლი“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ ნაშუადამევის პირველ საათამდე გასტანა, რასაც, ჩვენის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს. მუშობით დაღლილ ხალხს არ შეუძლიან ამდენ დროს დაკარგვა. გარდა ამისა, როგორც გვგონეთ, ამ ჟამად სცენის მოყვართა რამდენიმე დასი მოქმედობს მურაშკოს თეატრში და ხშირ-ხშირადაც სდგამენ წარმოდგენებს. ვინ ამბობს, კარგია ხშირად წარმოდგენების მართვა, წარმოდგენა მიიზიდავს

დიდი უმრავლესობა ღარიბ მოსწავლე ქალებისა იმით ირჩენს თავს, რომ საოჯახო მოვალეობას ეწევა. მაუნტ-გოლიოკის კოლეჯში, გარდა მზარეულობისა და იატაკის წმენდისა, ყოველგვარ მუშაობას—ხელზე მოსამსახურეობა, ჭურჭლისა და სტოლის დარეცხა და სხვა—სულ მოსწავლე ქალები ასრულებენ. რადგან თვითონ მოსწავლენი ასრულებენ ამ საქმეებს, წლიური ხარჯი თვითეულ სტუდენტისა აქ ორას-სამას მანეთით ნაკლებია, ვიდრე სხვა კოლეჯებში. კარგი მხარე გოლიოკის კოლეჯისა ის არის, რომ მდიდარიცა და ღარიბიც ვალდებულია იმუშაოს.

ობერლინში საოჯახო საქმეებს ასრულებენ სტუდენტი ქალები კერძო სახლებშიაც. ბევრი სახლია ამ ქალაქში, რომ ხელზე მოსამსახურე ქალი არ არის და მის მოვალეობას ასრულებს სტუდენტი ქალი, რომელსაც სამაგიეროდ ბინასა და სასმელ-საჭმელს აძლევენ. საშუალოდ ქალი იძულებული ჰხდება იმუშაოს დღეში ხუთ საათამდე, რომ თავი შეინახოს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში სწავლა ვერ მიდის კარგად; ამიტომაც სტუდენტი ქალი ხუთი-ექვსი წელიწადი რჩება უნივერსიტეტში. იმ ღარიბ-ქალებისათვის, რომელთაც არ ჰსურთ მოსამსახურეობა, ობერლინის კოლეჯმა დაიქირავა ერთი მეტად მოძველებული სახლი, სადაც ოთხ მანეთად თვეში იძლევიან ოთახს; ყოველ ოთახში პატარა სამზარეულოა ქვაბითა და ყავადანით და სტუდენტი ქალი თვითონვე იმზადებს სადილსა და საუზმეს; ხორცი აქ ძალიან იშვიათი მოვლენაა; უფრო კარტოფილი იხარჯება და ხან-და-ხან კვერცხიც. ასეთ ცხოვრებას, რასაკვირველია, კარგი გავლენა არ აქვს მოსწავლის სხეულზე, მაგრამ ამერიკელი ქალი ყველაფერს მოითმენს, ოღონდ მიზანს მიაღწიოს და უმაღლესი სწავლა მიიღოს.

ხშირად ამ სახლში მცხოვრები სტუდენტი ქალი მხოლოდ საუზმობს და ვახშმობს სახლში, სადილათ კი რომელსამე კერძო პანსიონში მიდის, სადაც სტოლს აწყობს და ჭურჭლებს რეცხს სადილის საფასურში.

ღარიბ ქალების დასახმარებლად კალიფორნიის უნივერსიტეტმა გამართა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც ყოველ-გვარ საკერავს და ხელ-საქმეს ჰკისრულობენ. ორმოცდა-ათ ქალამდე აქ შოულობს სამუშაოს და ბევრის ხელ-საქმე ისე ხელოვნურია, რომ ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში იყიდება.

ბრან-მიურის კოლეჯი სცდილობს რამე ფერად გაანთავისუფლოს მოსწავლე ქალი ფიზიკურ შრომისაგან და სამაგიეროდ უშოვნოს ინტელექტუალური. მაგრამ აქაც არიან მოსწავლენი, რომელნიც იძულებულნი ჰხდებიან ისევ ფიზიკურ შრომას მიჰმართონ.

ქ. სმისში ორი-სამი სტუდენტი ქალი ყოველ წელს მართავს ცეკვა-თამაშის სკოლას; მოსწავლე ცოტას იხდის, მაგრამ რადგან მსურველების რიცხვი ბევრია, საქმე ხელსაყრელი გამოდის. ზოგი ქალი გიმნასტიკურ კოსტიუმებს ჰკერავს; ზოგი ბაყაყებსა და ქვემძრომებს იჭერავს ბიოლოგიურ ლაბორატორიისათვის; ზოგი საღამოს სკოლის მასწავლებლობას შოულობს.

საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ქალი არ სცდილობს ბევრის შოვნას: მოთხოვნილება უნდა მოვუკლო, რომ შემოსავალი მეყოს, ამბობს ქალი, მაშინ როდესაც ვაჟი სულ სხვას თხოულობს: უნდა მოვუმატო შემოსავალს, რომ ჩემი მოთხოვნილებანი დავიკმაყოფილოო.

მოგვყავს ერთ სტუდენტ ქალის შემოსავლის ანგარიში:

	ფული	დრო
გიმნასტიკურ კოსტიუმების კერვა	16,25 დოლ.	108 ს.
წინდების დაკერება	1,50 „	10 „
საცვლების შეკეთება	15,00 „	85 „
სასაჩუქრო წიგნების გაყიდვა	5,00 „	10 „
ჩალის ქუდების გაყიდვის აგენტურა	13,00 „	18 „
რეპეტიტორობა	70,— „	110 „
კოლეჯის ჟურნალის ტარება	2,50 „	7 „
სხვა სამუშაო	8,50 „	4 „
სულ	131,75 „	352 „

მდიდარი მოსწავლე ქალი მეტის სიყვარულით ეკიდება თავის ღარიბ ამხანაგს, ვიდრე მდიდარი სტუდენტი თავისას. გარდა ამისა სტუდენტ ქალთა საზოგადოების წევრობა ძვირი არა ღირს, ამიტომ ღარიბი მოსწავლე ქალი უფრო მეტ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, რადგან იგი ხშირად უფრო ნიჭიერი, უფრო გამოცდილი და უფრო მტკიცე ხასიათის პატრონი არის, დიდი გავლენაც აქვს.

ბევრი ნაკლი აქვს ღარიბ მოსწავლის ცხოვრებას, მაგრამ ღირსებასაც არ არის მოკლებული: სერიოზული შრომა და ცხოვრების მწარე მხარეების გაცნობა უზრუნველ ცხოვრებაზე უკეთ ზრდის პიროვნებას და თუ ხანდახან სწავლის მხრივ ნაკლებად არის მომზადებული, სამაგიეროდ უკეთ მომზადებულია მომავალ საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის.

ხალხს თეატრში და არ დაითრთხობს, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე ავლაბრელ სცენის მოყვარეთა ზოგ-ზოგ დასს.

დ. ბ.

29 ივნისს სოფ. გომში ქ-ნ მ. ამირაჯიბისა მართავს საქველ-მოქმედო წარმოდგენას.

30 ივნისს ქ-ნ მ. ყიფიანისა და ბ-ნ ალ. გვახარიას მეთაურობით იმართება წარმოდგენა გორში საქველმოქმედო აზრით.

კავკავი. 20 ივნისს ქალაქის თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. წარმოადგინეს „ფული და ხარისხი" აზიანისა. მონაწილეობას იღებდნენ: კნ. ხიმშიაშვილისა, ქ-ნნი გვარამაძისა, ბოლზიაშვილისა და ბურდულისა, ბ-ნი ყაზბეგი, კახიანი, ცინცაძე, მოსულიშვილი და ა. და ე. როინაშვილნი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; როლები უმეტეს სინდისიერად შეასრულეს, გარდა ერთისა. შემდეგ ბ-ნ კუხიანიძის ხორომ შეასრულა ორკესტრის დახმარებით: 1. „ვახტანგ მეფე", მუს. ფოცხვერაშვილისა, 2. „პატარა საყვარელო", მუსიკა ქორიძისა, 3. „მერცხალი", მუს. კლენოვსკისა, 4. „ფაცხა", მუს. ბალანჩივაძისა, 5. „შარო-შური, 6. „აღსდეგ გმირთ-გმირო" მუს. რატილისა. დასასრულ საზოგადოების თხოვნით იმღერეს „გოგონა". სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინეს. საზოგადოებამ მხურვალე ტაშის კვრით დააჯილდოვა როგორც მოთამაშენი, ისე ლოტბარი კუხიანიძე.

ეს წარმოდგენა კიდევ იმით იყო საყურადღებო, რომ შემოსავალი გადაეცა ერთ ღარიბ ყმაწვილს, რომელმაც ბრწყინვალედ სწავლა აქაურ ქართულ სასწავლებელში გაათავა და ეხლა უმაღლეს სასწავლებელში მიდის. აქვე არ შეგვიძლიან მადლობა არ ვუძღვნათ ბ-ნ აჯამაშულოვს, რომელიც შემთხვევით არის აქ მოსული და რომელმაც თავს იდვა წარმოდგენის გამართვა და მოთამაშეთა მომზადება.

აქ მოელიან ქართულ დრამატიულ დასის არტისტებს ქ-ნ საფაროვა-აბაშიძისას, გაბუნია-ცაგარელისას და ბ. ვასო აბაშიძეს. აქაურმა გაზეთებმა უკვე აუწყეს საზოგადოებას ნიჭიერ ქართველ მსახიობთა წვევა.

დამსწრე.

ჭიათურა. 22 ივნისს ტფილისის მსახიობთა ქ-ნ საფაროვა-აბაშიძისა და ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობით გაიმართა უკანასკნელი წარმოდგენა. როგორც აფიშებში იყო გამოცხადებული, უნდა ეთამაშნათ: „ცოლ-ქმრობის" წინააღმდეგ", „დატრიალდა ჯარა", „ადვოკატთან" და „არც აქეთ, არც იქით!". რაიმე მიზეზისა გამო, პიესები შესცვალეს და ითამაშეს: „ძუნწი", „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ" და „დატრიალდა ჯარა" (თუმცა ძუნწი წინა კვირაში ითამაშეს). ყველა პიესა კარგად ჩაატარეს. რა თქმა უნდა, საფაროვა-აბაშიძისა და ვ. აბაშიძე კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. საზოგადოება ბოლომდე დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა შინ. ამ წელს 15 წარმოდგენამდე გამართეს აქ, მაგრამ ერთი ხეირიანი დრამა არ დაუდგამთ. ამ დალოცვილებს დაუყენიათ კომედია და ერთხელ ხეირიანი დრამა აღარ გვაღირსეს.

ლადო გუბელი.

დაბა-სოფლები

ცხინვალი (ქართლი). 21 ივნისს მოულოდნელად დაიძახეს, დიახვი მოვარდაო და მართლაც ისეთი აღელვებული მოიბრძოდა, რომ მნახველი თვალს ვერ უსწორებდა. წყალი იმდენად დიდი იყო, რომ გზებზე მოეგლიჯნა ფესვიანად დიდი ტირიფები და მოჰქონდა. გზებიდან მოტაცებული ურმები და სხვა და-სხვა რამეებიც ბევრი ჩამოატარა. კიდურებზედ ნათესი მინდვრები სულ ერთიანად წალეკა, ტივების ორი ყარაულიც კინაღამ იმსხვერპლა; ამათთვის წყალს მოესწრო და პატარა კუნძულივით ადგილზე შერჩენილიყვნენ. თურმე იმ ღამეს მთაში დიდი წვიმა ყოფილა. რა იცოდნენ ცხინვალელებმა, თუ დიახვის ადიდება ნიშანი იყო იმათის უბედურებისა. თორმეტი საათი იქმნებოდა, რომ ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელსაც თან მოჰყვა ცერის სიმსხო სეტყვა. ორის წუთის განმავლობაში სეტყვამ შემოდგომა გააჩინა. ვენახები თითქოს დაუკრეფავთო, ისე ჩამობღერტა სეტყვამ. ნათესი ისე გააკრა დედა-მიწაზედ, როგორც დავში თონეზე. აქაურს ხალხს მხოლოდ ის-ღა შერჩენია, რომ პარკი წამოიკიდოს და მოწყალებისათვის აქეთ-იქით იაროს.

ნიკო გვა—ძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი.

ნოვოროსიისკი. ნება დართეს, რომ ჩერნომორის გუბერნიაში პოლიციის დარაჯთა რაზმი შეადგინონ.

ირკუტსკი. ციმბირის რკინის გზის დამფუძნებლის იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ს ძეგლის საძირკველი ჩაჰყარეს. ძეგლის დასადგმელად 170,000 მანეთია შეკრებილი. ჰფიქრობენ, რომ მუშაობა 1904 წელს დასრულდებაო.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის ჯილდო, 33,473 მანეთი, ლაზარევის ულაყმა ცხენმა „ლორდმა" მიიღო.

ათინა. პალატის სხდომის დროს დიდი შფოთი მოხდა. ოპოზიცია ცხარედ ჰკიცხავდა ახალ კაბინეტის პოლიტიკას. სხდომა რომ დახურეს, პალატა ძლიერ აღელვებული იყო.

ბელგრადი. მთავრობამ გადასწყვიტა წმ. პეტრე-პავლეს დღე სამუდამოდ საერო დღესასწაულად გამოაცხადოს.

ვენა. სამინისტროს კრიზისი საბოლოოდ გათავდა. მარტო რეზეკი გადის სამსახურიდან.

პარიზი. 22 ივნისს სენატისა და პალატის სესია დაიხურა.

რომი. პაპის ავადმყოფობის ბიულეტენი გამოაცხადეს. პაპი მაცეონის ეთათბირა. მაცეონიმაც დაპინის დიაგნოზი მოიწონა. პაპის ფილტვი აქვს წამხდარი სიბერისაგან. ძალიან ავადაა, მაგრამ სიკვდილის შიში არაა. პაპის ჯარი შეკრიბეს. ნაბრძანებია, ეკკლესიებში პარაკლისები გადაიხადონ. კარდინალებმა თათბირი მოახდინეს. შუადღის დროს პაპის ცოტაოდენი უარესობა შეეტყო; ეტყობა, ავადმყოფობა გაძლიერდება.

პრაგა. გუსის სახსოვარი დღესასწაული იმით დაიწყეს, რომ იან ჟიჟკის სახალხო თეატრებში წარმოდგენა გამართეს. რუსი-სტუმრები ლოჟებში მიიწვიეს. წარმოდგენის შემდეგ საღამო გაიმართა. თავმჯდომარე სტუმრებს მიესალმა და ერთმანერთთან დაახლოვება ურჩია. მომღერალ საზოგადოებათა შეერთებული ხორები მღეროდნენ. ორკესტრის ხელმძღვანელად გორელოვი იყო. დიდ-ძალი ხალხია შეკრებილი. პრაგა მორთულია ეროვნულ ბაირაღებითა და გუსის გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის სურათებით. ქუჩები, აივნები და სახლის ბანები ხალხითაა სავსე. პროცესია „სოკოლებმა" (ჩეხის გიმნასტიურ საზოგადოების წევრებმა) დაიწყეს. ქვეითა სოკოლებმა, ამქრებმა, მსროლელებმა და საზოგადოებათა დეპუტაციებმა ბაირაღებით ქუჩებში გაიარეს და ყველგან ოვაციებს იწვევდნენ. პროცესიაში 30 ათასამდე კაცი იღებს მონაწილეობას. ესტრადაზე დგანან რეიხსტაგისა და სეიმის დეპუტატები, ქალაქის მოურავები, უნივერსიტეტის პროფესორები და დელეგატები. ტრიბუნებზე საზოგადოებაა. დეპუტატმა გრეგრმა სიტყვა წარმოსთქვა და საერო იდეალების გამავრცელებელ გუსის ისტორიული მნიშვნელობა გამოარკვია. პირველად ჩეხური ქალაქის მოურავმა დაჰკრა და სთქვა „იმ სიმართლის სახელითა, რომელსაც გუსი იცავდა და სამეფო პრაგის სახელითა".

იოკოჰამა. ხმა დადის, პირველმა მინისტრმა კაცურამ სამსახურიდან გადადგომა მოინდომაო. მიზეზი ისაა, რომ მომავალ წლის ბიუჯეტის საფინანსო პროექტები მეტად ძნელი ასასრულებელიაო.

სოფია. სოფიაში მყოფ ოპოზიციის დეპუტატებმა ხელი მოაწერეს პროტესტს. პროტესტში ნათქვამია, მოხელეების შესახებ კანონის მუხლების გაუქმება კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო. პროტესტს ყველა პროვინციაში მცხოვრებ დეპუტატებსაც გაუგზავნიან ხელის მოსაწერად. ოპოზიციის ყველა მეთაურებისაგან შემდგარ დელეგაციას მიანდეს, ეს პროტესტი მთავარს წარუდგინეთო.

როსტოვი დონზე. მე-7 კორპუსის უფროსი მოვიდა აქ. უფროსი იმისთვის ჩამოვიდა, რომ აქ მთელი პოლკი უნდა დააყენონ კერძო ხალხის სახლებში.

რომი. საღამოთი შემდეგი ბიულეტენი გამოაცხადეს: „სისუსტემ ცოტათი იმატა. გული და ფილტვი უცვლელადაა. მაჯა დაუსუსტდა. ტემპერატურა ნორმალურზე ნაკლებია, გონება სრული აქვს". პაპის კარდინალებისა და წარჩინებულთა თანდასწრებით წმ. საიდუმლო მიაღებინეს. ვატიკანში ჰფიქრობენ, პაპის საკმაო ჯანი აქვს, რომ ეს ღამეც გასძლოსო. პაპის ზიარების დროს ყველას გული ამოუჯდა. იმ პროცესიაში, რომელსაც წმ. საიდუმლოება მოჰქონდა, 16 კარდინალი იღებდა მონაწილეობას. როცა კარდინალები ხელზე ემთხვივნენ, პაპმა სთქვა: „საუკუნოდ მივდივარ".

სოფია. ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფომ ბოლგარიის მთავრობის უკანასკნელ ნოტაზე ესეთი პასუხი შემოთვალეს: ბოლგარია დინჯად უნდა იყოს, რადგან ოსმალეთს ომი სულაც არა სწადიან, ამიტომ ბოლგარიას არაფერი საბუთი არა აქვს საომრად მოემზადოს და ჯარი გამხედროსო. ამ პასუხმა აქაური საზოგადოება დაამშვიდა.

ბელგრადი. ოთხშაბათს აუდიენციის დროს ჩარიკოვი ახალ რწმუნების წერილს ჩააბარებს მეფე პეტრეს.

მოსკოვი. მოსკოვის სლავიანთა საზოგადოებამ დიდებულად იდღესასწაულა იან გუსის ხსოვნა. საზოგადოების ხორომ ჩეხური და სერბული სიმღერები და გუსიტების სიმღერა შეასრულა. საზოგადოების ორკესტრმა რუსის ეროვნული და ჩეხური ჰიმნი შეასრულა. საზოგადოების თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და ახსნა, რომ გუსის ქადაგებასა და გრიუნვალდთან გამარჯვებას კავშირი აქვთო; სლავიანები უნდა მოემზადნენ, რომ კიდევ გაიმარჯვონ ისე, როგორც გრიუნვალდთან გაიმარჯვეს. სანამ ტევტონის ორდენი არსებობს, სლავიანებს ცალის ხელით სახარება უნდა ეჭიროთ, ცალის ხელით მახვილი და ნიადაგ ახსოვდეთ გუსის ანდერძი ყველა სლავიანთა შერიგებაზე. დღესასწაულს ბოლგარები, ბოსნიაკები, ჰერცოგოვინელები, ჩერნოგორიელები და ჩეხები დაესწრნენ.

პარიზი. ლუბე 23 ივნისს ინგლისს წავიდა.

რომი. გაზეთი „ოჩე დელა ვერიტა" იუწყება: პაპის მდგომარეობა დღით სრულებით არ შეცვლილა. იმისი მაგარი ბუნება საკვირველად უძლებს ავადმყოფობას. „მესაჯერო" კი ამბობს: პირიქით, ანთება ფილტვის მარცხენა ნაწილზედაც გადავიდაო.—ბიულეტენი: „პაპს ღამე თითქმის არა სძინებია, მაგრამ უფრო ნაკლებ შფოთავდა, სანამ წინა ღამეს. ფილტვის მდგომარეობა არ შეცვლილა. ავადმყოფი უკეთ არ გამხდარა, მაგრამ არც თუ უარესობა ეტყობა".

ნიუ-იორკი. პრეზიდენტმა რუზველტმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა. პრეზიდენტმა სთქვა: ამერიკას ყველა ერებთან კარგი განწყობილება აქვს. ვფიქრობ, რომ ყველანი კარგის თვალით გვიყურებენ; ამ კარგ ურთიერთობას ამერიკის პირველ ხარისხოვანი ფლოტიც ხელს უწყობს, ამიტომ ამერიკას კარგი ფლოტი სჭირია; მშვიდობიანობის უიაფესი გარანტია—ფლოტია.

21 ივნისს, დიდ ოკეანეში გაყვანილი ამერიკის სატელეგრაფო კაბელი—მოქმედებას დაიწყებს შეერთებულ შტატებსა და ფილიპის კუნძულებ შუა.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა საქციონერო საზოგადოებისაგან ალექსანდრეს სასახლის ახლო გამოფენილი გუთნები ინახულა.

23 ივნისი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით 8 თვით შეჩერებულია გამოცემა „ვლადიმირ. გაზეთისა".—„ცერკ. ვედ."-ის მე-25 ნომერში მოსკოვის მიტროპოლიტის, ორი ეპისკოპოსის და სხვა პირთა ხელის მოწერით დაბეჭდილია აქტი ღირსის სერაფიმე საროველის ნაშთის შემოწმების შესახებ.

პრაგა. კვირა საღამოს პრაგას მცხოვრებლებმა გამართეს მაშხალებით სიარული მოედანზედ. მგალობელ საზოგადოებათა დიდმა ხორომ „ხორალი" იგალობა. ქალაქი მშვენივრად არის გაჩირაღდნებული. ორშაბათს ქალაქის გამგეობამ სტუმრები მიიღო. ქალაქის თავმა სიტყვით მიჰმართა და, სხვათა შორის, სთქვა, მიხარიან სტუმრების ნახვა, მეტადრე რუსებისაო. სტანომ, რუსთა საკრებულოს და სლავიანურ საზოგადოების წევრმა მადლობა გადაუხადა პრაგას ძმურის დახვედრისათვის და უსურვა ჩეხებს, დასძლიონ ყველა დაბრკოლებანი თავისუფლების მოსაპოვებლად. სლავიანურ საზოგადოების დელეგატი ბარისოვ-კორეენევსკი რუსეთის და მოსკოვის სახელით მიესალმა ქალაქის გამგეობას. დანარჩენი სიტყვები შეეხებოდა დღესასწაულის მნიშვნელობას, სლავიანთა ინტერესების შეთანხმებას და ჩეხის ერის შემოქმედებითს ძალას.

კრეიცნახი. აქ მოვიდა ჩერნოგორიის მთავარი ოჯახობით.

კონსტანტინოპოლი. ბოლგარიის მთავრობის ცირკულიარულ ნოტას კაბინეტებმა თანაგრძნობა არ გამოუცხადეს. პორტაც ჰფიქრობს გაუგზავნოს ყველა სახელმწიფოებს თავისი ნოტა, რომელშიაც დაარღვევს ბოლგარიის ნოტაში აღნიშნულ ბრალდებებს.

ტყუილია, ვითომ კუმანოვში დაბანაკებული ყოს 30 ბატალიონი ომერ-რუდში-ფაშის კორპუსისა. ტყუილია აგრეთვე, ვითომ მე-2 და მე-3 კორპუსებისთვის სურსათი მზადდებოდეს.

კიშინევი. მოვიდა ახალი გუბერნატორი თავ. ურუსოვი.

ევპატორია. მთავრობამ მისცა ერობას 100,000 მან. გზატკეცილის გასაყვანად.

ლიბავა. მობრძანდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დაათვალიერა ალექსანდრე III-ს ნავთსადგური; აქედან კრეისერ „აზია"-თი დიდი მთავარი საკენგაუზენში გაემგზავრება პავლეს ნავთსადგურის დასათვალიერებლად. იქიდან ვინდავას და რიგას გაემგზავრება.

დუვრი. ლუბე მოვიდა და ლონდონისაკენ გაემართა.

რომი. პაპს მისივე სურვილისამებრ ზეთი უკურთხეს. 6-ს საათზე საშინლად დასუსტდა.

ბიულეტენი: „საღამოს 8 საათზე ცხადად ეტყობა დასუსტება. სუნთქვა შეუმოკლდა; მაჯა სუსტი აქვს. გონება არ დაჰკარგვია".

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება [illegible] ხიდის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩ. სამკურნალოში 60 საწოლი; შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—94)

ძმათა «წოვიანოვების და ამხანაგობ.»
სავაჭრო სახლის საქმეთა
ადმინისტრაცია
აცხადებს, რომ ხსენებულ სავაჭრო სახლის კრედიტორებს, მეორედ დაურიგდებათ თავიანთ ვალის 10%. ფული დარიგდება ადმინისტრაციის განყოფილების სადგომში, ბებუთოვის ქუჩა, № 10, 26 ამ ივნისიდან ყოველ-დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 ს. ნაშუადღევის 1 საათამდე. (1—116—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ეგ. ნათაძეს. (უ. 0—14)

ცინკოგრაფია
ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობის
განჯის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 375.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)